პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

ქალაქი ბათუმი ____ სექტემბერი, 2024 წ.

ქ. ბათუმში, ადლიის ქ. N59-ში და ადლიის III ჩიხი N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ N05.32.03.296, N05.32.03.553, N05.32.03.515) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 03 ივნისის N260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის“ მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ქ. ბათუმში, ადლიის ქ. N59-ში და ადლიის III ჩიხი N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ N05.32.03.296, N05.32.03.553, N05.32.03.515) წარმოდგენილ გეგმარებით ერთეულზე დამტკიცდეს განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია, თანახმად დანართისა.
2. კანონმდებლობით გათვალისწინებული მაკომპენსირებელი ღონისძიება განისაზღვროს საპროექტო მიწის ნაკვეთებზე დაგეგმილი მშენებლობის (შეთანხმებული პროექტის მიხედვით გადამეტებული) $კ^{1/2}$ მაჩვენებლის 10 %-ს ოდენობით საცხოვრებელი ფართობით ან იგივე ოდენობის სხვა მაკომპენსირებელი ღონისძიებით.
3. განემარტოს ნ.დ.-ს (პ/ნ.....), რომ იგი ვალდებულია განაშენიანების დეტალური გეგმის ეტაპზე გაითვალისწინოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2024 წლის 04 სექტემბრის N01-01-10/8224 წერილით დადგენილი პირობები.
4. განემარტოს ნ.დ.-ს (პ/ნ.....), რომ იგი ვალდებულია განაშენიანების დეტალური გეგმის ეტაპზე, საპროექტო ობიექტის სიმაღლის განსაზღვრისას გაითვალისწინოს სსიპ „სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს“ მიერ დადგენილი სიმაღლის პარამეტრი.
5. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძე

განმარტებითი ბარათი
პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქ. ბათუმში, ადლიის ქ. N59-ში და ადლიის III ჩიხი N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ N05.32.03.296, N05.32.03.553, N05.32.03.515) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

„ქ. ბათუმში, ადლიის ქ. N59-ში; ადლიის III ჩიხი N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე: N05.32.03.296, N05.32.03.553, N05.32.03.515 განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღება.

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ა.ბ. პროექტის ძირითადი არსი:

განმცხადებელი - ნ.დ.-ს (პ/ნ.....), 2024 წლის N:19/1424232199-06 განცხადების საფუძველზე, ქ. ბათუმში, დასახლება ადლიაში მდებარე მიწის ნაკვეთებზე: N05.32.03.296, N05.32.03.553, N05.32.03.515 (საპროექტო Nს/კ 05.32.03.296, 05.32.03.553) მრავალფუნქციური ობიექტის მშენებლობის მიზნით განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცებისათვის დაწყებულია საჯარო ადმინისტრაციული წარმოება. გეგმარებითი ერთეულის ფართობი შეადგენს 11500.00 კვ.მ.-ს; საპროექტო მიწის ნაკვეთების ფართობი შეადგენს 2962.00 კვ.მ-ს; განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია შემუშავდა ქალაქ ბათუმში, ადლიის ქუჩა N59-ში მდებარე მიწის ნაკვეთების, ს/კ 05.32.03.296, 05.32.03.553, სამშენებლოდ განვითარების მიზნით. დაგეგმვის ობიექტს წარმოადგენს გეგმარებითი ერთეული, რომელიც მოიცავს მიწის 3 მიწის ნაკვეთს, ს/კ 05.32.03.296, 05.32.03.553, 05.32.03.515. გეგმარებით ერთეულში მოქცეული მიწის ნაკვეთების სამშენებლოდ განვითარებისათვის დაგეგმილია ქალაქმშენებლობის პარამეტრების ცვლილება, მათ შორის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის კ2-ის სიდიდის ცვლილება/გაზრდა დადგენილი 2,5-დან 9,5-მდე, ასევე მაქსიმალური სიმაღლეების და სხვა პირობების განსაზღვრა. პროექტით გათვალისწინებულია 80 მიწისქვეშა და მიწისზედა ავტოსადგომი, მათ შორის მექანიზირებული.

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ა.ბ. პროექტის ძირითადი არსი:

ქ. ბათუმში, ადლიის ქ. N59-ში; ადლიის III ჩიხი N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე: N05.32.03.296, N05.32.03.553, N05.32.03.515 განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციი ის დამტკიცების შესახებ'' განკარგულების მიღება.

ბ) პროექტის ფინასური დასაბუთება:

ბ.ა) განკრგულების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინასების წყარო: არ გამოწვევს ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე - არ გამოიწვევს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები, სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციების არ მიღებულა.

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის

ქალაქგანვითარებისა და ურბანული

პოლიტიკის სამსახურის უფროსი **გიორგი წანაწყენიშვილი**